

შპს „შარმ ტრეიდიנגი“
ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თბილისი
2019

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე	5
დასკვნა.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	15
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	17
1. ინფორმაცია „კომპანიების“ შესახებ	17
2. მომზადების საფუძვლები	18
3. ფუნქციონირებადი საწარმო	20
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	20
4.1 უცხოური ვალუტა	20
4.2 ძირითადი საშუალებები	21
4.2.1 აღიარება და შეფასება	21
4.2.2 ცვეთა	21
4.2.3 აღიარების შეწყვეტა	22
4.3 არამატერიალური აქტივები	22
4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	22
4.5 ფინანსური ინსტრუმენტები	23
4.5.1 ფინანსური აქტივები	23
4.5.2 ფინანსური ვალდებულებები	24
4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა	25
4.6 გადასახადები	26
4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი	26
4.6.2 გადავადებული გადასახადი	27
4.6.3 დამატებული ღირებულების გადასახადი	27
4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
4.8 შემოსავლები	27
4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.....	29
5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი	30
6. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგები	31
7. ძირითადი საშუალებები	32
8. არამატერიალური აქტივები	36
9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	39
10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	40
11. გადახდილი ავანსები	41
12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	42
13. კაპიტალი	42

14. პროცენტური სესხები	43
15. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები	43
16. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება	44
17. ფინანსური რისკების მართვა	45
18. პირობითი ვალდებულებები	48
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	48
20. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	49
21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	50
22. საინვესტიციო ქონება	51
23. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	51
24. მმართველობითი ანგარიშგება	52

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „შარმ ტრედინგი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება,

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შარმ ტრედინგი“-ს („კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ჯგუფის) თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას, ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „შარმ ტრედინგი“-ს ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად. ასევე, მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების განხორციელებას ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თანხებისა და განცხადებების შესახებ აუდიტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მოსაზრებაზე, მათ შორის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების უნებლიედ ან განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებების განხორციელებისას, აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და სათანადოდ წარმოდგენისათვის შესაფერის შიდა კონტროლის სისტემას, იმ მიზნით, რომ დაგეგმოს იმგვარი აუდიტური პროცედურები, რომლებიც მიზანშეწონილია მოცემულ გარემოებებში და არა იმის გამო, რომ გამოთქვას მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

სხვა ინფორმაცია

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა, ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ნინო დარჯანია



შპს „აუდიტ-ცენტრი 2007“-ს სახელით

თბილისი, 23 სექტემბერი 2019 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შარმ ტრედინგი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება,

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შარმ ტრედინგი“-ს („კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ჯგუფის) თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას, ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „შარმ ტრედინგი“-ს ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად. ასევე, მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური და კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების განხორციელებას ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თანხებისა და განცხადებების შესახებ აუდიტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მოსაზრებაზე, მათ შორის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების უნებლიედ ან განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებების განხორციელებისას, აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და სათანადოდ წარმოდგენისათვის შესაფერის შიდა კონტროლის სისტემას, იმ მიზნით, რომ დაგეგმოს იმგვარი აუდიტური პროცედურები, რომლებიც მიზანშეწონილია მოცემულ გარემოებებში და არა იმის გამო, რომ გამოთქვას მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

სხვა ინფორმაცია

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა, ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ნინო დარჯანია

შპს „აუდიტ-ცენტრი 2007“-ს სახელით

თბილისი, 23 სექტემბერი 2019 წელი

შპს „მარმ ტრედიინგი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	4,749	1,133
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	25,686	20,634
ავანსები მომწოდებლებთან	11	130	1,326
მარაგები	10	18,324	19,747
სულ მიმდინარე აქტივები		48,889	42,840
<u>არაფულადი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	7	6,994	5,618
არამატერიალური აქტივები	8	126	135
სულ არაფულადი აქტივები		7,120	5,753
გრძელვადიანი ინვესტიციები		14,159	13,487
გასაყიდად გამიზნული აქტივი			3,707
გაცემული გრძელვადიანი სესხები		7,078	8,888
სულ ფიქსირებული აქტივები		21,237	26,082
სულ აქტივები		77,246	74,675
<u>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	16	16,807	14,097
სესხები	14	7,570	9,953
მოკლევადიანი ფინანსური იჯარა	14	460	234
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		568	457
მოგების გადასახადი		329	234
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,734	24,975
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
გრძელვადიანი კრედიტი	14	1,824	2,251
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	14	769	342
გადავადებული გადასახადი		1,889	1,100
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,482	3,693
სულ ვალდებულებები		30,216	28,668
<u>საკუთარი კაპიტალი</u>			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		47,028	46,005
სულ საკუთარი კაპიტალი		47,030	46,007
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		77,246	74,675

შარმ ჯგუფის კონსოლიდირებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ათას ლარში

აქტივები	შენიშვნა	2 018	2 017
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	7,751	3,576
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	30,494	24,861
ავანსები მომწოდებლებთან	11	1,188	1,702
მარაგები	10	28,132	29,746
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა			124
საინვესტიციო ქონება	22	10,826	11,979
სულ მიმდინარე აქტივები		78,391	71,988
<u>ფიქსირებული აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	7	7,683	6,226
არამატერიალური აქტივები	8	150	161
სულ არაფულადი აქტივები		7,833	6,387
გრძელვადიანი ინვესტიციები		4,509	4,407
გაცემული გრძელვადიანი სესხები		9,794	8,888
სულ ფიქსირებული აქტივები		14,303	13,295
გასაყიდად გამიზნული აქტივი		0	3,707
სულ აქტივები		100,527	95,377
<u>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	16	20,959	19,097
სესხები	14	7,570	10,001
მოკლევადიანი ფინანსური იჯარა	14	631	234
მოგების გადასახადი		544	141
სულ მიმდინარე ვალდებულებები		29,704	29,473
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
გრძელვადიანი კრედიტი	14	4,521	5,715
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	14	1,083	342
გადავადებული გადასახადი		1,969	1,182
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,573	7,239
სულ ვალდებულებები		37,277	36,712
საწესდებო კაპიტალი		2	2
გადაფასების რეზერვი		7,785	7,785
გაუნაწილებელი მოგება		55,463	50,878
არამაკონტროლებელი წილი		1011	-74

სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი		62,239	58,739
სულ საკუთარი კაპიტალი		63,250	58,665
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		100,527	95,377

შპს „შარმ ტრედიინგი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4.8	89,128	83,142
რეალიზაციის თვითღირებულება		(66,572)	(61,954)
საერთო მოგება		22,556	21,188
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	20	(5,945)	(4,484)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(12,001)	(11,133)
ფინანსური ხარჯები	4.5.2	(907)	(701)
ფინანსური შემოსავლები		861	975
კონვერტაციის ხარჯები, ნეტო		(314)	82
სხვა ხარჯები		(75)	(664)
სხვა შემოსავლები		815	288
მეკავშირე საწარმოს მოგების/ზარალის წილი		652	341
წლიური შემოსავლები მიმდინარე ოპერაციებიდან		5,642	5,892
მოგების გადასახადი	6	(781)	(1,100)
წლის წმინდა მოგება		4,861	4,792

შარმ ჯგუფის კონსოლიდირებული

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	4.8	133,268	121,279
რეალიზაციის თვითღირებულება		(97,752)	(89,253)
საერთო მოგება		35,516	32,027
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	20	(8,900)	(7,283)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(17,220)	(16,979)
ფინანსური ხარჯები	4.5.2	(1,264)	(1,126)
ფინანსური შემოსავლები		953	975
კონვერტაციის ხარჯები, ნეტო		331	(122)
სხვა ხარჯები		(615)	(853)
სხვა შემოსავლები	4.8	877	5,200
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი		652	341
წლიური შემოსავლები მიმდინარე ოპერაციებიდან		10,330	12,180
მოგების გადასახადი	6	(1,185)	(1,553)
წლის წმინდა მოგება		9,145	10,627
ძირითადი საშუალებების გადაფასება		0	4,195
უცხოური შვილობილი კომპანიის საკურსო სხვაობა		(226)	292
სულ ერთობლივი შემოსავალი		8,919	15,114
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებადი		427	(576)
სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი		8,492	15,690

შპს „შარმ ტრედინგი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში

	2018	2017
მოგება წელიწადში	4,861	4,792
კორექტირებები:		
მოგების გადასახადის ხარჯი	781	1,100
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,291	970
გაუფასურების ზარალი მისაღები დებიტორული დავალიანებიდან, ნეტო	157	21
გაუფასურების ზარალის აღიარება წინასწარ გადახდაზე მომწოდებლებთან, ნეტო		3
(მოგება) ზარალი ძირითადი საშუალებების გასავლიდან		(32)
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გასვლიდან		
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან	691	723
არარეალიზებული სავალუტო მოგება, ნეტო	310	(81)
საპროცენტო ხარჯი	907	701
საპროცენტო შემოსავალი	(861)	(975)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი შემოსავლები საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	8,137	7,190
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაზრდა	(1,235)	(5,130)
გრძელვადიანი ინვესტიციების ზრდა	(671)	(4,410)
გრძელვადიანი სესხების შემცირება	1,810	368
მომწოდებლებთან წინასწარი გადახდების შემცირება (ზრდა)	1,196	170
მარაგების გაზრდა	734	(4,408)
გადასახდელი გადასახადების გაზრდა (შემცირება) მოგების გადასახადის გარდა	111	233
სალიზინგო ვალდებულებების შემცირება (გაზრდა)	565	(124)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების გაზრდა	2,395	3,732
ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული	13,042	(2,378)
გადახდილი მოგების გადასახადი	104	103
გადახდილი პროცენტები	(907)	(701)
მიღებული პროცენტები	861	975
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, ნეტო	13,100	(2,001)

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(2,957)	(4,246)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	299	127
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გასვლიდან		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,658)	(4,119)
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობიდან		
გრძელვადიანი საბანკო სესხი	(429)	(2,275)
მოკლევადიანი საბანკო სესხები	(2,383)	9,271
მიღებული დივიდენდები	1,088	4,315
გადახდილი დივიდენდები	(4,926)	(5,616)
დაფინანსების აქტივებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,649)	5,694
ფულადი სახსრებისა და ფულის ექვივალენტების ზრდა (შემცირება)	3,792	(426)
<i>ფულადი სახსრებისა და ფულის ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი</i>	(176)	169
ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	1,133	1,389
ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	4,749	1,133

შარმ ჯგუფის კონსოლიდირებული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში

	2018	2017
მოგება წელიწადში	9,144	10,627
კორექტირებები:	0	
მოგების გადასახადის ხარჯი	1,185	1,553
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,680	1,566
გაუფასურების ზარალი მისაღები დებიტორული დავალიანებიდან, ნეტო	364	338
გაუფასურების ზარალის აღიარება წინასწარ გადახდაზე მომწოდებლებთან, ნეტო	0	3
(მოგება) ზარალი ძირითადი საშუალებების გასავლიდან	(158)	88
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გასვლიდან	-	-
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან	730	723
არარეალიზებული სავალუტო მოგება, ნეტო	(226)	292
საპროცენტო ხარჯი	1,264	1,126
საპროცენტო შემოსავალი	(953)	(975)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი შემოსავლები	13,030	15,341
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	(2,290)	(6,161)
მოკლევადიანი სესხების შემცირება (ზრდა)	(2,716)	-
გრძელვადიანი ინვესტიციების შემცირება (ზრდა)	(102)	109
გრძელვადიანი სესხების შემცირება (ზრდა)	1,810	368
მომწოდებლებთან წინასწარი გადახდების შემცირება (ზრდა)	514	319
მარაგების შემცირება (ზრდა)	884	(6,672)
გადასახდელი გადასახადების შემცირება (ზრდა) მოგების გადასახადის გარდა	273	484
სალიზინგო ვალდებულებების შემცირება (გაზრდა)	1,138	(522)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	1,862	7,133
ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული	14,403	10,399
გადახდილი მოგების გადასახადი	(149)	(264)
გადახდილი პროცენტები	(1,264)	(1,126)
მიღებული პროცენტები	953	975
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, ნეტო	13,943	9,984
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,541)	(7,717)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	1,726	
შემოსავალი არამატერიალური აქტივების გასვლიდან		23
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,815)	(7,694)
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობიდან		
გრძელვადიანი საბანკო სესხი	(1,194)	(3,007)
მოკლევადიანი საბანკო სესხები	(2,430)	9,118
გადაფასების რეზერვი	-	4,195
სხვა ოპერაციები კაპიტალზე	604	(7,798)
გადახდილი დივიდენდები	(4,933)	(6,259)
დაფინანსების აქტივებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(7,953)	(3,751)
ფულადი სახსრებისა და ფულის ექვივალენტების ზრდა (შემცირება)	4,175	(1,460)
ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	3,576	5,036
ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	7,751	3,576

შპს „შარმ ტრედინგი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	42,514	42,516
წლის მოგება		4,792	4,792
მიღებული დივიდენდები		4,315	4,315
გაცემული დივიდენდები		(5,616)	(5,616)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	46,005	46,007
წლის მოგება		4,861	4,861
მიღებული დივიდენდები		1,088	1,088
გაცემული დივიდენდები		(4,926)	(4,926)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	47,028	47,030

შარმ ჯგუფის კონსოლიდირებული
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	3,590	54,016	53,864	3,744	57,608
წლის მოგება			10,627			10,627
სხვა გაერთიანებული შემოსავალი		4,195				4,195
გაცემული დივიდენდები			(6,259)			(6,259)
არამაკონტროლებელი წილის შეძენა			(7,798)			(7,798)
საკურსო განსხვავებები			292			292
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	7,785	50,878	58,739	(74)	58,665
წლის მოგება			9,145			9,145
სხვა გაერთიანებული შემოსავალი			603			603
გაცემული დივიდენდები			(4,933)			(4,933)
არამაკონტროლებელი წილის შეძენა						0
საკურსო განსხვავებები			(226)			(226)
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2	7,785	55,467	61,947	1,307	63,254

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში

1. ინფორმაცია „კომპანიების“ შესახებ

შპს „შარმ ტრეიდიנגი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია ქსნის ქ. 36, თბილისი, 0141, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: შპს „შარმ ტრეიდიנגი“-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ყოველდღიური მოხმარების ჰიგიენური, ქიმიური საშუალებების და საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით. „კომპანია“ შედგება ერთი საოპერაციო სეგმენტისგან. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფას“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. კომპანიის აქციონერები არიან ფიზიკური პირები. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე. მოკლე ინფორმაცია შარმ ჯგუფში შემავალი კომპანიების შესახებ:

- შპს „ბი ემ სი შარმი“ 80% - კომპანია ახდენს სანტექნიკის იმპორტს და გაყიდვას ორი მაღაზია-სალონის საშუალებით
- შპს „გლობალ ტრეიდი“ 100% - სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული, კოსმეტიკური, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის იმპორტი და ექსპორტი.
- შპს „სი ენდ ევი“ 75% - სადისტრიბუციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია.
- შპს „იალონი“ 100% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.
- შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ 85,31% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.

მოკლე ინფორმაცია შპს „შარმ ტრეიდიנגი“-ს მეკავშირე საწარმოს შესახებ:

- სს „ლელო“ 50% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების მოწყობა,

გაქირავება. ასევე მომხმარებელს სთავაზობს საბაჟო საწყობში ტვირთების მიღება გადამუშავების მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილ კომპანიებად მიიჩნევა ჯგუფის კომპანიები და სხვა ორგანიზაციები, რომლებშიც ჯგუფი პირდაპირ ან ირიბად ფლობს ერთ ნახევარზე მეტ ხმის უფლებას წილის სახით ან სხვაგვარად შესწევს ძალა იმგვარად განკარგოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, რომ სარგებელი მიიღოს. ამჟამად გამოყენებული ან კონვერტირებული პოტენციური ხმის უფლების არსებობა და ეფექტი გათვალისწინებულია, როდესაც ფასდება რამდენად აკონტროლებს ჯგუფი სხვა იურიდიულ პირს. შვილობილ ორგანიზაციები კონსოლიდირდება მათზე კონტროლის ჯგუფის ხელში გადასვლის დღიდან (დაფუძნების ან შეძენის თარიღი).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

შვილობილი კომპანიები	31 დეკემბერი 2018, %	31 დეკემბერი 2017, %	ქვეყანა	დაფუძნე ბის ან შეძენის თარიღი	დარგი
შპს „ბი ემ სი შარმი“	80%	100%	საქართვე ლო	2011	იმპორტი და ვაჭრობა
შპს „გლობალ ტრეიდი“	100%	100%	საქართვე ლო	2011	ლოჯისტიკ ური კომპანია

შპს „სი ენდ ეფი“	75%	75%	სომხეთი	2012	იმპორტი დისტრიბუ ცია
შპს „იალონი“	100%	50%	საქართვე ლო	2010	ლოჯისტიკ ური კომპანია
შპს „სმარტ ვეარჰაუსი“	85,31%	100%	საქართვე ლო	2016	მომსახურე ბა
სს „ლელო“	50%	50%	საქართვე ლო	2009	ლოჯისტიკ ური კომპანია

ჯგუფის ყველა შიდაჯგუფური ოპერაცია, შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ჯგუფის მიერ აღიარებულ საბუღალტრო წესებს, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ ჯგუფის მიერ აღიარებულ წესებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 23,000,000 ლარით, ხოლო კომპანიების ჯგუფის შემთხვევაში 48,000,000 ლარი.

2018 წელს „კომპანია“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

4.2 ძირითადი საშუალებები

4.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია საბაზრო ღირებულებით.

4.2.2 ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

4.2.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

4.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია.

არამატერიალური აქტივების ცვეთა წარმოებს წრფივი სისტემის 15%-იანი განაკვეთით.

4.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

4.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებას.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოსაღებად „კომპანია“ პერიოდულად აფორმებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებებს, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მათი ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად გადახდა. „კომპანია“ რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებას პროცენტს არ არიცხავს; შესაბამისად, რესტრუქტურიზაციის შედეგად მიღებულ ზარალს იგი ასახავს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურიზაციამდე ვადაგასული

დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურისაციის თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია.

4.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	907	701

შარმ ჯგუფი

	2018	2017
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,264	1,126

სესხები და კრედიტები

მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (XIRR) გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

4.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

„კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

4.6 გადასახადები

4.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.6.2 გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის დარიცხვა ხორციელდება (2017 და 2018 წლის მოგება) ვალდებულებების მეთოდის შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის ახალი მოდელი.

4.6.3 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

4.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

სახელმწიფო ტენდერები

სახელმწიფო ტენდერების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ონლაინ ტენდერებში გამარჯვების შედეგად საქონლის მიწოდება კონტრაგენტისათვის.

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
სურსათი	14,955	14,040
პარფიუმერია და ჰიგიენური საშუალებები	58,144	55,109
სახლის მოვლის საშუალებები	13,042	10,272
ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები	2,673	3,192
სარემონტო მასალები და აბაზანის აქსესუარები		
სხვა	315	529

სულ **89,128** **83,142**

შარმ ჯგუფი

	2018	2017
სურსათი	15,371	14,568
პარფიუმერია და ჰიგიენური საშუალებები	89,691	81,608
სახლის მოვლის საშუალებები	20,136	16,179
ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები	2,673	3,192
სარემონტო მასალები და აბაზანის აქსესუარები	3,945	4,078
სხვა	1,453	1,654

სულ

133,268 121,279

4.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ინფორმაცია კომპანიის დაზღვევის სფეროების/სახეობების შესახებ კომპანიების ჯგუფის ზოგადი პოლიტიკაა საოპერაციო საქმიანობისას ყველა შესაძლო რისკის დაზღვევა, რომელიც მოიცავს:

- ძირითად საშუალებებსა და რემონტს
- მარაგებს
- გადაზიდვებს და პასუხისმგებლობას
- იმპორტირებულს საქონელს გზაში

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა
- რეზერვი გადახდილი ავანსებისათვის 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანხა წარმოადგენს მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისათვის გადახდილი ავანსების რეზერვს.

6. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები შევიდა ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ცვლილებები ითვალისწინებს ფიზიკური პირებისა და არარეზიდენტების დივიდენდების გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრას. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

შპს „შარმ ტრეიდინგის“ 2018 წლის ანგარიშგებაში დარიცხულია გადავადებული მოგების გადასახადი 781 ათასი ლარის ოდენობით.

7. ძირითადი საშუალებები

შპს „მარმ ტრედიინგი“

	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ინვენტარი	სარეკლამო- მარკეტინგული ინვენტარი	სხვა	იჯარით აღებული ქონების რემონტი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი		1,371	1,757	1,397	1,099	43	819	6,486
შემოსავალი	2,430	23	490	170	1,116		5	4,234
გასავალი		(72)	(123)	(613)	(39)			(846)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	2,430	1,322	2,124	954	2,177	43	825	9,874
შემოსავალი		536	972	147	1,278	2		2,934
გასავალი		(212)	(76)	(30)	(118)			(436)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	2,430	1,645	3,021	1,070	3,336	45	825	12,372
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016 წელი	-		1,750	1,064		23	669	4,100
წლის ცვეთა	28	263	80	152	307	9	68	908
გასული აქტივის ცვეთა	-	(60)	(119)	(567)	(6)			(752)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017 წელი	28	797	1,712	649	302	32	737	4,256
წლის ცვეთა	72	247	250	107	515	8	60	1,259
გასული აქტივის ცვეთა		(5)	(76)	(26)	(29)			(137)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018 წელი	100	1,039	1,886	730	787	39	797	5,378

ნარჩენი ღირებულება
31 დეკემბერი 2017
წელი

2,402	525	412	305	1,875	11	88	5,618
-------	-----	-----	-----	-------	----	----	-------

ნარჩენი ღირებულება
31 დეკემბერი 2018
წელი

2,331	606	1,135	340	2,549	6	28	6,994
-------	-----	-------	-----	-------	---	----	-------

შარმ ჯგუფი

	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ინვენტარი	სარეკლამო- მარკეტინგული ინვენტარი	სხვა	იჯარით აღებული ქონების რემონტი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი	8,762	2,052	2,977	1,620	1,486	43	951	17,891
შემოსავალი	2,438	41	531	282	1,116	10	105	4,524
გადაფასება	9,057		43					9,100
გასავალი	(5,114)	(72)	(123)	(613)	(39)			(5,960)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	15,144	2,021	3,429	1,289	2,563	53	1,056	25,556

შემოსავალი	37	556	1,423	202	1,278	2		3,497
გადაფასება								
გასავალი	(943)	(212)	(76)	(27)	(118)			(1,376)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	14,238	2,365	4,776	1,464	3,723	55	1,056	27,677
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016 წელი	592	1,072	2,666	1,207	45	23	743	6,348
წლის ცვეთა	278	300	279	193	370	13	100	1,531
გასული აქტივის ცვეთა	(36)	(60)	(119)	(567)	253			(528)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017 წელი	834	1,312	2,826	833	668	36	842	7,351

წლის ცვლათა	307	263	295	198	515	8	60	1,647
გასული აქტივის ცვლათა		10	228	(39)	(29)			171
დაგროვილი ცვლათა 31 დეკემბერი 2018 წელი	1,141	1,586	3,349	992	1,154	44	903	9,169
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2017 წელი	14,309	709	603	457	1,895	17	214	18,205
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	13,096	780	1,427	472	2,569	11	154	18,509

8. არამატერიალური აქტივები

შპს „შარმ ტრედიინგი“

არამატერიალური
აქტივები

ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი	442
---------------------------------	-----

შემოსავალი გასავალი	11
------------------------	----

ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	453
---------------------------------	-----

შემოსავალი გასავალი	23
------------------------	----

ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	476
---------------------------------	-----

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016 წელი	287
---	-----

წლის ცვეთა გასული აქტივის ცვეთა	31
---------------------------------------	----

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017 წელი	318
---	-----

წლის ცვეთა გასული აქტივის ცვეთა	32
---------------------------------------	----

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018 წელი	350
---	-----

ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2017 წელი	135
---	-----

ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	126
---	-----

შარმ ჯგუფი

არამატერიალური
აქტივები

ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი	485
------------------------------	-----

შემოსავალი გასავალი	11
------------------------	----

ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	496
------------------------------	-----

შემოსავალი გასავალი	24
------------------------	----

ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	520
------------------------------	-----

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016 წელი	301
---	-----

წლის ცვეთა გასული აქტივის ცვეთა	35
------------------------------------	----

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017 წელი	336
წლის ცვეთა გასული აქტივის ცვეთა	34
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018 წელი	370
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2017 წელი	161
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	150

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	25,242	20,006
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	601	785
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(157)	(157)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	25,686	20,634

შარმ ჯგუფი

	2018	2017
მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	30,257	24,293
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	601	785
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(364)	(217)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	30,494	24,861

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	შპს „შარმ ტრეიდინგი“	
	2018	2017
მარაგები	15,797	17,949
საქონელი გზაში	2,488	1,763
ნედლეული	<u>39</u>	<u>35</u>
	<u>18,324</u>	<u>19,747</u>

შარმ ჯგუფი

	2018	2017
მარაგები	25,599	27,481
საქონელი გზაში	2,489	2,223
ნედლეული	<u>44</u>	<u>43</u>
	<u>28,132</u>	<u>29,746</u>

11. გადახდილი ავანსები

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	85	1,263
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-___ შენიშვნა)	0	(3)
სულ მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	85	1,260
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	45	66

შარმ ჯგუფი

	2018	2017
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1,072	1,639
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-___ შენიშვნა)	0	(3)
სულ მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	1,072	1,636
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	116	66

12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	0	1
საბანკო ანგარიშები	4,749	1,132

4,749 1,133

შარმ ჯგუფი

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	11	25
საბანკო ანგარიშები	7,740	3,550

7,751 3,576

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში.

13. კაპიტალი

„კომპანიის“ დამფუძნებელთა სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთი

2017

01008005480 ლევან კაკაბაძე	33%
01009006897 ვახტანგ სამაგლიშვილი	9%
01011011609 სოლომონ მამუჩიშვილი	9%
01005003421 გიორგი ჩივაძე	15%
01017003730 ზაზა ნიშნიანიძე	34%
სულ	100%

2018

01008005480 ლევან კაკაბაძე	33%
----------------------------	-----

01009006897 ვახტანგ სამაგლიშვილი	9%
01011011609 სოლომონ მამუჩიშვილი	9%
01005003421 გიორგი ჩივაძე	15%
01017003730 ზაზა ნიშნიანაძე	34%
სულ	100%

2018 წლის გასაცემი გამოცხადებული დივიდენდის ოდენობა შეადგენს 6,700 ათას ლარს.

14. პროცენტის სესხები

შპს „მარმ ტრედიინგი“

	2018	2017
გრძელვადიანი საბანკო სესხი	1,824	2,251
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება	769	342
სულ გრძელვადიანი სესხები	2,593	2,593
მოკლევადიანი საბანკო სესხი	7,570	9,953
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება	460	234
სულ მოკლევადიანი სესხები	8,030	10,187
სულ სესხები	10,623	12,780

	2018	2017
გრძელვადიანი საბანკო სესხი	4,521	5,715
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულება	1,083	342
სულ გრძელვადიანი სესხები	5,604	6,057
მოკლევადიანი საბანკო სესხი	7,570	10,001
მოკლევადიანი სალიზინგო ვალდებულება	631	234
სულ მოკლევადიანი სესხები	8,201	10,235
სულ სესხები	13,805	16,292

15. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით (არასავაჭრო განყოფილებების თანამშრომლებისათვის) და შერეული, ფიქსირებულს+საპროცენტო ნაწილი განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი

ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე. საპროცენტო ნაწილი ფორმირდება მომწოდებლების მიერ დასმული ამოცანებისა და კომპანიის პორტფელში არსებული საქონლის ანალოგების კონკურენტულ ბაზარზე არსებული ვითარებით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა სახელფასო ხარჯის კომპონენტები, რომლებიც ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ასევე თანხები, რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

16. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

შპს „შარმ ტრეიდინგი“

	2018	2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	16,151	13,655
მიღებული ავანსები	202	35
გადასახდელი ხელფასები	454	407
	16,807	14,097

შარმ ჯგუფი

	2018	2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	19,908	17,888
მიღებული ავანსები	551	552
გადასახდელი ხელფასები	500	656
	20,959	19,097

სასაქონლო კრედიტორული დავალიანება კონტროლდება მხარეების მიერ და შეთანხმებულ პირობებთან სრულ შესაბამისობაშია, რაც დასტურდება რეკონსილაციის აქტებით.

მომსახურების კრედიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებულ სარეკლამო მარკეტინგულ და ლოჯისტიკურ მომსახურებებს.

სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შედის კომპანიის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურებები.

17. ფინანსური რისკების მართვა

„კომპანია“ განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), საოპერაციო და იურიდიული რისკების ჩათვლით. „კომპანია“ განაგრძობს თავისი ფუნქციების შემუშავებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. „კომპანიის“ მიერ დღეისათვის მიღებული ზომები, მათ შორის ვალდებულებების ზრდის ტრენდის შეჩერების ნაწილში, მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

(ა) საკრედიტო რისკი

„კომპანიას“ არ გააჩნია საკრედიტო რისკი. ფინანსური აქტივები ძირითადად, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების, სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთების (როგორც დებიტორებთან, ისე საკუთარ საწყობებში) ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. „კომპანიას“ აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი კონტაგენტები. „კომპანია“ საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ კონტრაგენტების დაბლოკვით სასაწყობო პროგრამაში, რომლებიც არ იხდიან დავალიანებას.

ხელმძღვანელობამ გააჩნია დარეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური დარეზერვების საშუალებას იძლევა. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, და მთლიანი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „კომპანიას“ არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

„კომპანიას“ არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობის კონტრაგენტებს შორის.

საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ მინიმალურად მოქმედებს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად, შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ შესასყიდ ფასებს და კონტრაგენტებისათვის მისაწოდებელი საქონლის ფასებს. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ აქტიურად მონაწილეობს ამ ფასების დადგენაში, მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, „კომპანიას“ აქვს ღია საპროცენტო და სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების მეშვეობით.

კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

არაფინანსური აქტივების ღირებულება

ჯგუფის მიწის ნაკვეთი და შენობები წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით. შეფასების დასკვნა მომზადებულია კვალიფიციური შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას. დასკვნაში გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტები: 101.103 - საბაზრო ღირებულების დასადგენად გამოყენებულია გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა, როგორც შეფასების ბაზა და სტანდარტი 230 (ინტერესი უძრავ ქონებაში).

ამ დასკვნაში მოყვანილი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით შემფასებლის მიერ შესაფასებელი ქონების (შპს „სმარტ ვეარჰაუს“-ის ს/კ 405131085 კუთვნილი უძრავი ქონება ს/კ #01.72.14.032.825) მთლიანი ღირებულება 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეფასდა 5,694,000 (ხუთიმილიონცხრაასიათასი) ლარად, მათ შორის მიწა 3,220,000 (სამიმილიონორასოციათასი) ლარად.

შპს „იალონი“ ასევე შეფასებულია კვალიფიციური შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას. გამოყენებულია წმინა აქტივების შეფასების და შემოსავლების მეთოდი. იალონის 100%-იანი წილის ღირებულებამ შეადგინა 13,272,000 ლარი.

18. პირობითი ვალდებულებები

დავები

1. გადახდისსუნარობის საქმე (რეაბილიტაცია გუდვილი) მე-6 რიგის კრედიტორი 601,722.54 ლარი

ოპერაციული საქმიანობის პირობებში „კომპანია“ წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, შემდგომ წარმოდგენილის გარდა, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ექვსი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს და ხუთი წევრისგან შემდგარი უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს 302 ათასი ლარის ოდენობით 2017 წელს და 285 ათასი ლარის ოდენობით 2017 წელს.

დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები ასეთია:

	2018	2017
დამფუძნებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა	299	912
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	265	187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	6

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები:

	2018	2017
საქონლის შესყიდვა	0	53
მომსახურების გაწევა	48	41
საქონლის რეალიზაცია	846	340
საქონლის რეალიზაცია (შვილობილიდან შვილობილზე)	7,618	6,690
საპროცენტო ხარჯი	0	43

20. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	4,271	3,520
სარეკლამო ხარჯები	946	416
მანქანის იჯარა	26	2
ტრანსპორტირების ხარჯები	285	251
მანქანის ტექ. მომსახურება	175	126
არაპირდაპირი ხელფასი	242	169

5,945

4,484

შარმ ჯგუფი

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	6,104	5,182
სარეკლამო ხარჯები	1,014	453
იჯარა	456	577
ტრანსპორტირების ხარჯები	719	685
მანქანის ტექ. მომსახურება	365	217
არაპირდაპირი ხელფასი	242	169

8,900

7,283

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

შპს „შარმ ტრედიინგი“

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	5,213	4,924
დაზღვევის ხარჯები	404	383
უიმედო ვალების ანარიცხები	(2)	21
საიჯარო ქირა	1,920	1,970
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	110	54
ცვეთა და ამორტიზაცია	1,291	938
საბანკო ხარჯები	181	187
მივლინების ხარჯები	227	265
კომუნალური ხარჯები	1,381	1,204
საკანცელარიო ხარჯები	77	99
საკომუნიკაციო ხარჯები	60	55
რეგისტრაცია და ნებართვა	68	171
კორპორატიული ხარჯები	310	212
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	267	142
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	494	507

12,001

11,133

შარმ ჯგუფი

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	6,839	6,415
დაზღვევის ხარჯები	421	392
უიმედო ვალების ანარიცხები	364	338
საიჯარო ქირა	1,871	1,929
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	134	343
ცვეთა და ამორტიზაცია	1,680	1,566
საბანკო ხარჯები	424	424
მივლინების ხარჯები	431	401
კომუნალური ხარჯები	2,674	2,300

საკანცელარიო ხარჯები	79	101
საკომუნიკაციო ხარჯები	99	89
რეგისტრაცია და ნებართვა	70	315
კორპორატიული ხარჯები	310	1,240
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	686	507
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1,138	619

17,220

16,979

22. საინვესტიციო ქონება

შპს „იალონი“ – საინვესტიციო ქონების ღირებულება 5,147 ათას ლარი. 100% წილის ფლობა. საინვესტიციო ქონებიდან ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შეადგენს 23 ათას ლარს.

შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ – საინვესტიციო ქონების ღირებულება 5,679 ათასი ლარი. 85,31% წილის ფლობა. საინვესტიციო ქონებიდან ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შეადგენს 67 ათას ლარს.

23. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ არსებობს საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან კორექტირებას.

შპს „შარმ ტრედიინგი“

მმართველობითი ანგარიშგება

(ინდივიდუალური და კონსოლიდირებული)

შინაარსი

1. მიმოხილვა
 - კომპანიის ადგილი დარგში
 - კომპანიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები
 - ზოგადი ინფორმაცია შარმ ჯგუფზე
2. ბრენდები
3. 2018 წლის საკვანძო მოვლენები.
4. კომპანიის ბიზნეს მოდელი
5. კომპანიის მისია
6. კომპანიის სტრატეგია
7. მარკეტინგული გადაწყვეტილებები
8. დისტრიბუცია
9. ლოჯისტიკა
10. ფინანსური მიმოხილვა
11. პერსონალი
12. სოციალური პასუხისმგებლობა
13. ეკოლოგიური საკითხები
14. ძირითადი რისკ ფაქტორები და მართვა

1. მიმოხილვა

• კომპანიის ადგილი დარგში

შარმ ტრედიინგი ერთერთი უმსხვილესი კომპანიაა დარგში საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე, რომლის სტრატეგიულ საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო, ჰიგიენის, პარფიუმერიისა და საკვები პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია. დღეს შარმ ტრედიინგი აერთიანებს 500, ხოლო შარმ ჯგუფი მთლიანად 1000-ზე მეტ თანამშრომელს. კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში. ბრენდების დაბალანსებული პორტფელი უზრუნველყოფს კომპანიის წარმოდგენას

პრაქტიკულად ყველა აქტიურ სავაჭრო ობიექტში.

- ზოგადი ინფორმაცია შარმ ჯგუფზე
- შპს „ბი ემ სი შარმი“ 100% - კომპანია ახდენს სანტექნიკის იმპორტს და გაყიდვას ორი მაღაზია-სალონის საშუალებით
- შპს „გლობალ ტრეიდი“ 100% - სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული, კოსმეტიკური, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის იმპორტი და ექსპორტი.
- შპს „სი ენდ ევი“ 75% - სადისტრიბუციო კომპანია სომხეთში, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია.
- შპს „იალონი“ 100% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.
- შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ 100% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება.

მეკავშირე საწარმო:

სს „ლელო“ 50% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების მოწყობა, გაქირავება. ასევე მომხმარებელს სთავაზობს საბაჟო საწყობში ტვირთების მიღება გადამუშავების მომსახურებას.

2. ბრენდები

კომპანიის პორტფელში შემავალ სტრატეგიულ ბრენდებს მრავალწლიანი წარმატებული ისტორია აქვთ და იკავებენ სეგმენტების მნიშვნელოვან წილებს ზოგადად საერთაშორისო და მათ შორის საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე. თითოეული ამ ბრენდებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში და ორიენტირებულია ძირითადად საშუალო საფასო სეგმენტზე, რაც ზრდის პორტფელის საერთო შემოსავლიანობას. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს მარკეტინგის საკვანძო ფუნქციებს: ბრენდინგს, რესტაილინგის

სიახლეებს, სხვადასხვა ტიპის პრომო აქტივობებს. თითოეულ ბრენდს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საკუთარი ხასიათი და პოზიციონირება.

3. 2018 წლის საკვანძო მოვლენები.


კომპანიამ მოახდინა გაყიდვების მთავარ არხზე, ქსელურ მაღაზიებზე უპირატესი ფოკუსირება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ გადაწყვეტილებას თავისი რაციონალური მიზეზები აქვს:

1. სიახლეებისათვის მომხმარებელი მიდის ქსელში. აქ მყიდველი ახალი ბრენდების, პროდუქციის მიმართ უფრო ლოიალურია, რადგან აქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ სერიოზულ ქსელში მას ხარისხიან პროდუქციას დაახვედრებენ.
2. გარდა ამისა საცალო ქსელებს დიდი ასორტიმენტი აქვთ და თუ რაიმე ახალი პროდუქტი გამოჩნდა, აუცილებლად იქნება აქ.
3. ქსელი ზრდის ლოიალური მომხმარებლების რაოდენობას.
4. ქსელი პოტენციურად ზრდის გაყიდვების მოცულობას.
5. გათვლები გვიჩვენებს, რომ გაყიდვები ქსელებში 40% - დან 70% - მდე გაიზარდა სხვა საცალო გაყიდვებთან შედარებით.

ამასთან, აქტიურად გამოიყენება სპეციალური ხერხები, რომლებითაც რითეილერები ზრდიან თავიანთი სავაჭრო წერტილების მნიშვნელობას მომხმარებლების თვალში. მუდმივად ატარებენ სხვადასხვა ტიპის აქციებს, ფასდაკლებებს, კვირეულებსა და სხვა მარკეტინგულ აქტივობებს. პრიორიტეტების ამგვარი ცვლილება იწვევს იმას, რომ მომხმარებელს რეალურად ქვს შესაძლებლობა არჩევანი გააკეთოს იმ პროდუქტებიდან, რაც ქსელმა მისთვის წინასწარ „შეარჩია“. გაზრდილი კონკურენციის გამო, მსხვილი ქსელები სულ უფრო ხშირად კარნახობენ მომხმარებელს „აუცილებელ არჩევანს“ და აქტიურად მონაწილეობენ მოთხოვნის ფორმირებაში ამა თუ იმ პროდუქციაზე.

ქსელური ოპერატორები სულ უფრო ხშირად იყენებენ გეომარკეტინგის მეთოდებს, რომლებიც მათ აძლევენ საშუალებას მათი მაღაზიების ფორმატები და ასორტიმენტი შეუსაბამონ მომსახურების ლოკალურ ზონებს, ქმნიან ბალანსს უნივერსალური ფორმატების უპირატესობასა და მათი ოპერირების კონკრეტულ პირობებს შორის.

4. კომპანიის ბიზნეს მოდელი



5. მისია - კომპანიის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკვანძო ფასეულობების განსაზღვრა, რომელთა ბაზაზეც ვავითარებთ კორპორატიულ კულტურას, ბრენდსა და ბიზნესის სტრატეგიას. კომპანია იზრდება, მასში მოდიან ახალი თანამშრომლები, ამიტომ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ჩვენ ყველა თანამშრომელზე ვართ, ადამიანები ვინც ვმოქმედებთ ჩვენი შეხედულებების შესაბამისად იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი კომპანია. თანდათან ჩვენ უნდა გავმართოთ თანამშრომელთა ეფექტურობის შეფასება, რომელიც ეფუძნება კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობებს:

1. მომსახურების ხარისხი და კომფორტულობა
2. ცვლილებების მიღება და სტიმულირება
3. შემოქმედებითი და არასტანდარტული აზროვნება.
4. ზრდისა და სწავლის სტიმულირება.
5. გუნდური სულისა და ოჯახური გარემოს შექმნა.
6. გავაკეთოთ ბევრი ნაკლები საშუალებებით.
7. ვიყოთ მოტივირებულები და თანმიმდევრულები მიზნის მიღწევაში.

6. სტრატეგია - ჩვენი ამოცანაა განვაკითხოთ ჩვენი ბრენდი, გავაფართოვოთ ჩვენი პარტნიორების წრე, გავზარდოთ კონკურენტუნარიანობა, ოპერატიულობა, პარტნიორების დაინტერესება ჩვენთან ურთიერთობითა და მოგების გაზრდის მიზნით. ამ მიზნის მიღწევის გზაზე არ უნდა შევცვალოთ ჩვენი პრინციპები, თუმცა დავაკორექტიროთ ჩვენი თამაშის წესები ბაზარზე შექმნილი ვითარების შესაბამისად, ვიყოთ მოქნილები; მოვახდინოთ დიფერენცირება და ვაკეთოთ საწინააღმდეგო იმისა რასაც სხვები აკეთებენ; გვქონდეს მოთმინება და კონცენტრაციის უნარი, რადგან ეს წარმატების ერთერთი წინაპირობაა.

7. მარკეტინგული გადაწყვეტილებები

მარკეტინგი ანუ ბაზარზე საქმიანობის წესი/ხასიათი, რომელიც მიმართულია კლიენტებთან/პარტნიორებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ, გამყარებისაკენ და საქონლის პოპულარიზაციისა და მომსახურების/სერვისების გაუმჯობესებისაკენ ძალიან მნიშვნელოვანია სადისტრიბუციო კომპანიისათვის. ცნობილია, რომ სადისტრიბუციო კომპანიის მარკეტინგი პირველ ეტაპზე მიმართულია სავაჭრო ობიექტის მფლობელზე, გამყიდველზე და ცხადია ჩვენი სავაჭრო გუნდის ყველა რგოლზე: სავაჭრო

წარმომადგენელზე, სუპერვაიზერზე, ფილიალის ხელმძღვანელზე. რაც შეეხება მარკეტინგ-მიქსს -

- პირველ რიგში, ესაა პროდუქტის/პროექტის/ტექნოლოგიის პროფესიონალური პრეზენტაცია/წარმოდგენა. ხშირად ვიყენებთ ვიდეოპრეზენტაციას, კატალოგებს, ონლაინ-გამოკითხვას შემოთავაზებული პროექტების ეფექტურობის შესახებ.
- მეორე რიგში, ეს არის თავად ინსტრუმენტი, რომელიც გვებმარება მიზნის მიღწევაში: სავაჭრო გუნდისა და სავაჭრო წერტილის ბონუსაცია.
- მესამე რიგში, ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ განლაგებას. ვთვლით, რომ სწორი ასორტიმენტი, რომელიც ლოგიკურადაა შეთავაზებული მომხმარებლისათვის, სარგებელს აძლევს ჩვენც და მასაც, რადგან მომხმარებელს აქვს საშუალება გააკეთოს გონივრული არჩევანი, ხოლო სავაჭრო წერტილის სარგებელი იმაშია, რომ მას არ აქვს ქაოსი დახლებზე, რასაც ემატება მომხმარებლის კმაყოფილება, რომელიც მზადაა მეტად დაიხარჯოს და გაზარდოს სადისტრიბუციო ჯაჭვის ყველა რგოლის შემოსავალი.
- მეოთხე რიგში, რას ნებისმიერი მარკეტინგ-მიქსის საფუძველია, ესაა მოთხოვნადი, ღირსეული ხარისხის პროდუქტი, შემოტანილი შეთანხმებული რაოდენობითა და მოლაპარაკებულ დროში.

რაც შეეხება ტრეიდ მარკეტინგს, მისი ინსტრუმენტები მუდმივად უმჯობესდება. ძირითადი მიზეზია ისეთი ცვალებადი/ვარიაციული ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: დისტრიბუციის გაზრდა, საქონელბრუნვის გაზრდა, გადაზიდვების სიხშირე, კომერციული აღჭურვილობის მოწყობა/განლაგება, ან მაღაზიებში საერთო თაროებზე განლაგების სივრცის ზრდა.

8. დისტრიბუცია

ცნობილია, რომ დისტრიბუცია არის მყიდველებს შორის საქონლის/პროდუქციის გავრცელება და მისი მაქსიმალურად წარმოდგენის მიღწევა/ორგანიზება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დისტრიბუცია - ეს არის მეთოდურად გაწყობილი სისტემა, რომელიც შეიცავს ლოჯისტიკისა და მარკეტინგული ტექნოლოგიების კომპლექსს.

მოცემულ დროში სამომხმარებლო მოთხოვნის პრიორიტეტულ დეტერმინანტებს წარმოადგენენ:

1. სასაქონლო ბრენდის მნიშვნელობა;
2. პროდუქციის წარმოებისა და გაფორმების ხარისხი;
3. შესათავაზებელი ბრენდის ცნობადობა;

4. მომხმარებელთა ლოიალურობის ხარისხი;
5. ფართო და ეფექტური სადისტრიბუციო ქსელის შექმნა;
6. მოქნილი საფასო პოლიტიკა.

ზოგადად ჩვენი კომპანიის სადისტრიბუციო პერტფელში არსებული პროდუქციის შეძენის გადაწყვეტილების მიღებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასი და ბრენდი. ამასთან, ზოგადად მსოფლიოში მომხმარებელთა 60%-ისათვის არჩევანის მიღებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასს, ხოლო 40%-ისათვის - ბრენდის სახეობას.

ბოლო დროის ტენდენციებიდან ჩანს, რომ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ მასიური და საშუალოზე მაღალი კლასის პროდუქციას. ასევე, როგორც ჩანს მოხდება მასობრივი ბაზრის მაღალ, საშუალო და დაბალ დონეებად დაყოფის წაშლა. ჩვენი კომპანიის პორტფელი საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნები.

ბაზრის მონაწილეთა აზრით თანამედროვე ვაჭრობის ყველაზე პერსპექტიული ფორმატია შემდეგი ტიპის მაღაზიები/ქსელები:

- **drogerie** – ქსელური სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც წესი პირველადი მოთხოვნილების, არასაკვებ პროდუქციაზეა ორიენტირებული, როგორცაა პარფიუმერია, ჰიგიენა, საყოფაცხოვრებო ქიმია, ასევე მედიკამენტები. ეს ფორმატი გულისხმობს 100 – 300 კვ.მ. ფართის მაღაზიებს.
- **drugstore** – პარფიუმერულ-კოსმეტიკური მაღაზიისა და აფთიაქის ჰიბრიდი, როცა პროდუქციის რეალიზება ხდება სააფთიაქო ქსელების საშუალებით.
- ასევე ბაზრის აქტიური მონაწილეები არიან სუპერ/გიპერმარკეტები.
- ბაზრობების წილი შემცირებულია 10%-მდე.
- ჩვეულებრივი მაღაზიების წილი 40-45%-ია.


პერსპექტივაში შესაძლებელია პროდუქციის ქსელური გაყიდვების ორგანიზებაც.

9. ლოჯისტიკა


2018 წლიდან განახლდა ლოჯისტიკური სტრუქტურა და ტექნოლოგიური სქემა. სიახლეები - პროდუქციის შეგროვება, მითვლა, კონტროლი, დატვირთვა სპეციალური მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, გულისხმობს პროდუქციის შეკვეთიდან მის მიწოდებამდე ტექნოლოგიური ციკლის ოპტიმიზაციას იმგვარად, რომ ნაკლები რესურსითა და ნაკლებ დროში ხდება პროდუქციის მიწოდება საწყობიდან დანიშნულების ადგილამდე. ამავე დროს, პროდუქციით დატვირთული ავტომობილების საწყობიდან ადრე გასვლის გამო, ექსპედიტორებს აქვთ საშუალება მეორედ დაიტვირთონ სამუშაო დღის განმავლობაში, რის გამოც 20%-ით გაიზარდა მაღაზიებისათვის მიწოდებული პროდუქციის რაოდენობა. ახალი მოდელით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად გავანოლოთ შეცდომები შეკვეთების შეგროვება/მიწოდებაში, რაც, ერთის მხრივ, უფრო კომფორტულსა და მობილურს ხდის კომპანიის ურთიერთობას მაღაზიებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ზრდის კომპანიისადმი მაღაზიების ლოიალურობის ხარისხს. ავტომატურად შემცირდა შეცდომების გასასწორებლად საჭირო დრო, რესურსი და ხარჯები. შესაბამისად უფრო ზუსტია შესაბამისობა პროდუქციის პროგრამულ და ფაქტიურ ნაშთებს შორის და ეფექტური გახდა საწყობის მართვის ლოჯისტიკა.

10. ფინანსური მიმოხილვა


ძირითადი ოპერაციული მაჩვენებლები




გაყიდვები (%)





ამონაგები კატეგორიების მიხედვით შპს "შარმ ტრეიდიנגი" (%)



ამონაგები კატეგორიების მიხედვით შარმ ჯგუფი



შემოსავლიანობის ძირითადი მაჩვენებლები (ათასი ლარი)



11. პერსონალი

ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი დროისა, ფულისა და რესურსის ინვესტირება სამ საკვანძო სფეროში: კლიენტების მომსახურება (რამაც უკვე ჩამოგვყალიბა როგორც ბრენდი და გაავრცელა ხმები ჩვენს შესახებ), კორპორატიული კულტურა (რამაც მიგვიყვანა საკვანძო ღირებულებებამდე), თანამშრომელთა გამოზრდა და განვითარება (რაც საბოლოო ჯამში დაწინაურების არხის ჯგუფის შექმნაში გამოიხატა). ჩვენ ახლაც მიგვაჩნია, რომ ჩვენი ბრენდი, კულტურა და დაწინაურების არხი წარმოადგენს ერთადერთ გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას.

ბევრ კომპანიას უყვარს იმის ლაპარაკი, რომ ადამიანები მათი ყველაზე ძვირფასი აქტივია. ეს ჩვენ შემთხვევაშიც ასეა, თუმცა ასეთ მიდგომას რამდენიმე პრობლემა აქვს. პირველ რიგში, ვიღაცა მიდის და კარგავს აქტივს. მეორე - თუ კომპანია იზრდება, შეიძლება დადგეს მომენტი, როცა ის გაუსწრებს თანამშრომელს, რომლის უნარებიც კომპანიაში მოსვლის დღიდან არ გაიზარდა. როცა ასეთი რამ ხდება, გადაწყვეტილება, როგორც წესი, უფრო გამოცდილი თანამშრომლის გარედან მოწვევაა, რის შედაგადაც მესამე პრობლემა წარმოიქმნება: ის შეიძლება ვერ ჩაერთოს კორპორატიულ კულტურაში.

ამიტომ ჩვენ კომპანიაში ცოტა განსხვავებული მიდგომა გვაქვს. იმის მაგივრად რომ ადამიანზე მოვახდინოთ ფოკუსირება, ჩვენ ვახდენთ ფოკუსირებას ადამიანების დაწინაურების არხის შექმნაზე და სწორედ მას განვიხილავთ აქტივად. იგი შეიცავს თავის თავში სხვადასხვა უნარებისა და მომზადების დონის თანამშრომლებს, ახალბედებსა და უმაღლესი რგოლების ხელმძღვანელებს. ჩვენი ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ სამსახურში მივიღოთ თითქმის სულ ახალბედები, ხოლო შემდეგ კომპანიის ფარგლებში უზრუნველვყოთ სწავლება და მეურვეობა, რომელიც თავის გამოჩენის შემთხვევაში მას აძლევს საშუალებას რამდენიმე წელიწადში სტრუქტურულ წინსვლას მიაღწიოს. ეს პროექტი ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა დარწმუნებულები ვართ მის წარმატებით დასრულებაში.

თუ ადამიანი არ სწავლობს და არ იზრდება, როგორც პიროვნული ისე პროფესიონალური თვალსაზრისით, ნაკლებადსავარაუდოა, რომ იგი დარჩება კომპანიაში ხანგრძლივი დროით. ჩვენი მიზანი სწორედ იმაშია, რომ თანამშრომლები განეწყონ თავისი საქმიანობის მიმართ არა როგორც სამსახურის ან კარიერის შექმნის თვალსაზრისით, არამედ როგორც მოწოდებას.

12. სოციალური პასუხისმგებლობა

შარმ ჯგუფი აშენებს თავის გრძელვადიან განვითარებას არა მხოლოდ კომერციულ ინტერესებზე, არამედ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპებზე, ასევე ბიზნესის კეთების ეთიკურ ნორმებზე და ყოველთვის ინარჩუნებს ბალანსს ბიზნესსა და

საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. შარმ ჯგუფი ისწრაფვის შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. შარმ ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ წარმატებისა და მართვის ეფექტურობის მიღწევა დიდ წილად შარმ ჯგუფის კომპანიების მიმართ მაღალი ნდობითაა განპირობებული. ნდობა კი, თავის მხრივ, ემყარება ყველა დაინტერესებული ჯგუფის მიმართ პატივისცემასა და სამართლიან დამოკიდებულებას: მომხმარებლების, საქმიანი პარტნიორების, თანამშრომლების მიმართ. ჩვენი კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის საუძვლებს წარმოადგენს: სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგი, საკადრო პოლიტიკა, რომელიც ურთიერთპატივისცემას, თანამშრომელთათვის სამართლიანი კომპენსაციისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობის მიწოდებას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ მზრუნველ დამოკიდებულებას, საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელ სოციალურ და კულტურულ აქტივობებს ემყარება.

13. ეკოლოგიური საკითხები

კომპანიის განვითარებისათვის გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბიზნესის განვითარების კვალობაზე იზრდება ჩვენი ზემოქმედება გარემოზე. პოლიეთილენის ან სხვა ბუნებაში ძნელად უტილიზებადი შესაფუთი მასალები, სამაცივრო მოწყობილობებში თუ სასაწყობო მეურნეობაში სხვა მიზნებისათვის მოხმარებული ელექტროენერგია, სატრანსპორტო პარკის გამონაბოლქვი, ესაა სადისტრიბუციო კომპანიის გარემოზე ზემოქმედების ძირითადი ჩამონათვალი.

კომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით და ცდილობს შეესაბამებოდეს ბუნების დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ბუნების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის მოვალეობაა და ბუნებაზე ზემოქმედების ფაქტორების ოპტიმიზაციის შედეგად ხარჯების შემცირების გზით იძლევა ბიზნესის ეფექტურობის გაზრდისა და ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. შესაფუთი მასალების, მაკულატურის და ა.შ. უტილიზაციის მიზნებისათვის გაყიდვა) შემოსავლის მისაღებად. ჩვენ ჯერ ამ გრძელი გზის დასაწყისში ვიმყოფებით, თუმცა ვაგრძელებთ ამ მიმართულებით სულ უფრო ორგანიზებულ სვლას.

ვადაგასული და გასაყიდად გამოუსადეგარი ნარჩენების უტილიზაცია

მიმდინარე მდომარეობით ვადაგასული და გასაყიდად გამოუსადეგარი პროდუქციის უტილიზაცია ხდება მათი ნაგავსაყრელ პოლიგონებზე გადაზიდვით შემოსავლების სამსახური ზედამხედველობითა და მუნიციპალურ სამსახურებთან შეთანხმების გზით.

ეკოლოგიური ინიციატივები ლოჯისტიკაში და ტრასპორტში

ლოჯისტიკაში ვახდენთ შესაფუთი მასალების უტილიზაციის ორგანიზებას. სატრანსპორტო კუთხით ვახდენთ საავტომობილო საბურავების, აკუმულატორების, საავტომობილო ზეთების და სხვა ნარჩენების უტილიზაციას კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენი სატრანსპორტო პარკი რეგულარულად გადის ტექნიკურ დათვალიერებას. ჩვენ ავტოტრანსპორტისათვის ვიძენთ საწვავს წამყვანი კომპანიებისაგან, რომლებიც საწვავის მაღალი ხარისხის გარანტიორები არიან.

14. ძირითადი რისკ ფაქტორები და მართვა

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში შეიძლება აღმოჩნდეს პოტენციური რისკების წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის ფინანსურ შედეგებზე და ამგვარად ხელი შეუშალოს სტრატეგიული ამოცანების დაგეგმილ დროში მიღწევას. ამიტომ კომპანიამ შეიმუშავა რისკების შემცირებისათვის აუცილებელი ზომები:

1. კომპანიის (ჯგუფის) ფინანსური სტაბილურობის გაზრდა
2. კომპანიის (ჯგუფის) ღირებულების დაკარგვის შესაძლებლობის შემცირება
3. დამფუძნებლების მიერ საკვანძო რისკების კონტროლი და მართვა
4. კომპანიის (ჯგუფის) ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა

კომპანია რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. კომპანია დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოგისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის, მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების, ახალი ბრენდების მოზიდვის მიზნით.

კომპანია (ჯგუფი) განიხილავს პოტენციურ რისკებს ოთხი მიმართულებით:

1. საბაზრო და მაკროეკონომიკური - კომპანიის საქმიანობის სფეროში კონკურენცია მაღალია, რასაც განაპირობებს არა მარტო მსგავსი დანიშნულების პროდუქციის, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების ანალოგიური ბრენდების პროდუქციის შეთავაზება მომხარებლისათვის

კონკურენტულ ფასებში. კომპანია ამ გამოწვევას სხვადასხვა ტიპის პერმანენტულ მარკეტინგულ აქციებს უპირისპირებს.

2. ფინანსური - ამ მიმართულებითაც კომპანიის რისკები მინიმალურია, რადგან მოზიდული საბანკო სახსრების (რომელიც ლარშია აღებული საბაზრო მინიმალური პროცენტის პირობებში) წილი საოპერაციო ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების 22,9%-ია. ასევე მნიშვნელოვანია ლარი/დოლარი/ევროს ფარდობის მცირე ვოლატილობის კოეფიციენტი, რაც კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის მნიშვნელოვანია, რადგან მისი გადახდის წყარო ლარში არსებული დებიტორული დავალიანებაა.
3. იურიდიული/ფისკალური - გადასახადების (საბაჟო, შემოსავლების სამსახური) სტაბილურობა და განჭვრეტადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში, სსკ-ს ახალი „ესტონური“ მოდელის პირობებში, ასევე რისკების მინიმიზაციის ფაქტორია.
4. ოპერაციული - კომპანიას თავისი შეთავაზების პორტფელში აქვს მომხმარებლისათვის კარგად ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ბრენდები, რომელიც ძირითადად ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით/პარიტეტით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპერაციული რისკები მინიმალურია.